



## აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

---

### საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

„დამტკიცებულია“

რექტორი

პროფ. გიორგი ონიანი

აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი № 7  
29 იანვარი 2009 წელი

„დამტკიცებულია“

დეკანი

ასოც. პროფ. გოდერძი ვაჭრიძე

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი № 7  
23 იანვარი 2009 წელი

საბაკალავრო პროგრამა

სამართალმცოდნეობა

1. საბაკალავრო პროგრამის დასახელება: სამართალმცოდნეობა

2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართალმცოდნეობის ბაკალავრი  
(Bachelor of Law )

3. პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის და სტრუქტურული ერთეულის დასახელება:

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სამართლის დეპარტამენტი

4. პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

4.1 საბაკალავრო პროგრამის მიზანი:

– სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტისათვის სამართლებრივი საკითხების გაგება-გაანალიზებასა და მიღებული ცოდნის გამოყენების სწავლებას.

– სტუდენტს სამართალმცოდნეობის საკითხების გარდა, ეძლევა შესაძლებლობა, დაეუფლოს სამართლის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, ფილოსოფიურ, ისტორიულ და ეკონომიკურ ასპექტებს.

4.2 სწავლის შედეგები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები:

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა წარმოადგენს აკადემიურ საფუძველს იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც სწავლას გააგრძელებენ სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამით და რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტის და მკვლევარის მომზადებაზე. კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს შემდეგი კომპეტენციები:

**დარგობრივი კომპეტენციები:**

- სპეციალიზაციის სფეროს სიღრმისეული ცოდნა;
- ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების ცოდნა;
- ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა;
- სამართლის ცოდნის ეფექტურად გამოყენების უნარი;
- პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვისადმი მისწრაფების უნარი;

- საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი;
- კრიტიკულ სიტუაციებში სწრაფი რეაგირების, შენიშვნების ძიებისა და გათვალისწინების უნარი.

#### **ზოგადი კომპეტენციები:**

- დარგის ცოდნა-გააზრება და პროფესიის გათავისება;
- აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- პრობლემების იდენტიფიცირების, დასმისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- მშობლიურ და უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარი;
- კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი;
- სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და ანალიზის უნარი;
- დროის დაგეგმვისა და მართვის (დროის მენეჯმენტის) უნარი.

### **4.3 დასაქმების სფერო**

–სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოეთხოვება სამართლის საბაკალავრო აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერთიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

### **5. პროგრამაზე მიღების წინაპირობები**

აბიტურიენტის განათლების წინამორბედი დონეა სრული საშუალო ან მისი ექვივალენტური განათლება. აბიტურიენტს უნდა გააჩნდეს სრული საშუალო განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დოკუმენტი, რომელიც ანიჭებს მას სტუდენტის სტატუსს საქართველოს მოქალაქეებისათვის ან ექვივალენტური დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (სახელმწიფოებს შორის ) შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში.



6.პროგრამის სტრუქტურა

№	კურსი	სკ	ლ/პრ/ს/ლაბ.	კრედი- ტა რაოდე ნობა	სემესტრები								წინაპირობა
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
<b>პროგრამის სავალდებულო კურსები (125 კრედიტი)</b>													
<b>საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები (20 კრედიტი)</b>													
1	უცხო ენა	2/3/ 3/3	1.1.0.0	18	3	5	5	5					
2	აკადემიური წერა	1	1.0.0.0	2	2								
<b>საბაზისო მოდული: კერძო სამართალი (45 კრედიტი)</b>													
1.1.1	შესავალი სამოქალაქო სამართალში	3	2.0.1.0	5	5								
1.1.2	სანივთო სამართალი	3	2.1.0.0	5		5							
1.1.3	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	3	2.1.0.0	5		5							
1.1.4	ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი	3	2.1.0.0	5			5						
1.1.5	საოჯახო და სამემკვიდრეო სამართალი	3	2.1.0.0	5				5					
1.1.6	სამოქალაქო სამართლის პროცესი	3	2.1.0.0	5				10					
1.1.7	საკორპორაციო სამართალი	6	4.1.0.0	10					5				
1.1.8	შრომის სამართალი	3	2.1.0.0	5					5				
<b>საბაზისო მოდული: საჯარო სამართალი (25 კრედიტი)</b>													
1.2.1	კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი	3	2.0.1.0	5	5								
1.2.2	ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	3	2.1.0.0	5		5							
1.2.3	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	3	2.1.0.0	5			5						
1.2.4	საერთაშორისო საჯარო სამართალი	3	2.1.0.0	5				5					
1.2.5	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი	3	2.1.0.0	5					5				
<b>საბაზისო მოდული: სისხლის სამართალი (25 კრედიტი)</b>													

13.1	სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი	3	2.1.0.0	5		5							
13.2	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი	6	4.1.1.0	10			10						
13.3	სისხლის სამართლის პროცესი	6	4.1.1.0	10				10					
<b>საბაზისო მოდული: სამართლის საფუძვლები (10 კრედიტი)</b>													
14.1	შესავალი სამართალმცოდნეობაში	3	2.0.1.0	5	5								
14.2	ქართული სამართლის ისტორია	3	2.0.1.0	5	5								
<b>სპეციალიზაციის არჩევითი მოდულები (70 კრედიტი)</b> (სტუდენტი ირჩევს ერთერთს ქვემოთ მოყვანილი 3 მოდულიდან)													
<b>სპეციალიზაციის მოდული: კერძო სამართალი (70 კრედიტი)</b>													
2.1.1	გაკორტრების სამართალი	3	2.1.0.0	5					5				
2.1.2	სახელშეკრულებო სამართლის გაღრმავება	6	2.4.0.0	10					10				
2.1.3	საბანკო სამართალი	3	12.0.0	5					5				
2.1.4	დაზღვევის სამართალი	3	12.0.0	5					5				
2.1.5	ფასიანი ქაღალდების სამართალი	3	12.0.0	5						5			
2.1.6	საერთაშორისო კერძო სამართალი	3	2.1.0.0	5						5			
2.1.7	მთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი	3	12.0.0	5						5			
2.1.8	საავტორო სამართალი	3	2.0.1.0	5						5			
2.1.9	სამრეწველო საკუთრების სამართალი	3	2.0.1.0	5						5			
2.1.10	მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი	3	2.0.1.0	5							5		
2.1.11	კერძო დავების გადაწყვეტა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში	6	1.5.0.0	10								10	
2.1.12	საერთაშორისო სავაჭრო სამართალი	3	2.1.0.0	5								5	

სპეციალიზაციის მოდული: კონსტიტუციური და ადმინისტრაციული სამართალი (70 კრედიტი)												
2.2.1	საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი	6	4.0.2.0	10						10		
2.2.2	საარჩევნო სამართალი	3	2.0.1.0	5						5		
2.2.3	ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი	3	2.0.1.0	5						5		
2.2.4	სამოსხელეო სამართალი	3	2.0.1.0	5						5		
2.2.5	ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებული ნაწილი	3	2.1.0.0	5						5		
2.2.6	საზოგადოებრივი მართლწესრიგის სამართალი	3	2.1.0.0	5						5		
2.2.7	საქართველოს მოქალაქეობის სამართლებრივი საფუძველი	3	2.0.1.0	5						5		
2.2.8	აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაცია	3	2.0.1.0	5						5		
2.2.9	საფინანსო სამართალი	3	2.0.1.0	5						5		
2.2.10	ეკოლოგიური სამართალი	3	2.0.1.0	5							5	
2.2.11	საგადასახადო და საბაჟო სამართალი	6	2.2.2.0	10							10	
2.2.12	ადმინისტრაციული პროცესის გაღრმავება	3	1.2.0.0	5							5	
სპეციალიზაციის მოდული: სისხლის სამართალი (70 კრედიტი)												
2.3.1	სისხლის სამართლის კერძო ნაწილის გაღრმავება	6	2.4.0.0	10						10		
2.3.2	კრიმინოლოგია	3	2.0.1.0	5						5		
2.3.3	დანაშაულის კვალიფიკაცია	3	0.3.0.0	5						5		
2.3.4	დანაშაულის გახსნის მეთოდოლოგია	3	0.3.0.0	5						5		
2.3.5	სასჯელდასრულებითი სამართალი	3	2.0.1.0	5						5		
2.3.6	მართლმსაჯულების განხორციელების პრიციპები	3	2.0.1.0	5						5		
2.3.7	მტკიცებითი სამართალი	3	1.0.2.0	5						5		

2.3.8	საერთაშორისო სისხლის სამართალი	3	2.0.1.0	5							5		
2.3.9	საერთაშორისო სისხლის სამართლის იუსტიცია	3	2.0.1.0	5							5		
2.3.10	კრიმინალისტიკა	6	2.2.1.1	10								10	
2.3.11	სისხლის სამართლის პროცესის გადრმაგება	3	1.2.0.0	5								5	
2.3.12	საზოგადოებრივი მართლწესრიგის სამართალი	3	2.0.1.0	5								5	
<b>არჩევითი კურსები (45 კრედიტი)</b>													
	<b>არჩევითი კურსი -1</b>	3	2.0.1.0	5	5								
1.1.	საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია												
1.2	ლათინური ენა												
	<b>არჩევითი კურსი - 2</b>	3	2.0.1.0	5	5								
2.1	ლოგიკა												
2.2	საქართველოს ისტორია												
	<b>არჩევითი კურსი -3</b>	3	2.0.1.0	5		5							
3.1	სამართლის ფილოსოფია												
3.2	რომის კერძო სამართალი												
	<b>არჩევითი კურსი - 4</b>	3	2.0.1.0	5			5						
4.1	იურიდიული ფსიქოლოგია												
4.2	სამართლის სოციოლოგია												
	<b>არჩევითი კურსი - 5</b>	3	2.0.1.0	5				5					
5.1	ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი												
5.2	პოლიტოლოგია												
	<b>არჩევითი კურსი - 6</b>	3	2.0.1.0	5						5			
6.1	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი												
6.2	ლტოლვილთა და იძულებით												

	ადგილნაცვალ პირთა სამართალი												
	<b>არჩევითი კურსი - 7</b>	<b>3</b>	<b>12.0.0</b>	<b>5</b>						<b>5</b>			
7.1	კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგია												
7.2	სამართლებრივი სტატისტიკა												
	<b>განსხვავებული სპეციალიზაციის არჩევითი კურსები</b>											<b>10</b>	
	სტუდენტი ირჩევს მის მიერ არჩეული სპეციალიზაციისაგან განსხვავებული დანარჩენი 2 სპეციალიზაციიდან VIII სემესტრის საგნებს, ჯამში 10 კრედიტის რაოდენობით												
				<b>სულ</b>	<b>240</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>

**პროგრამის კომპონენტები**

<b>საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები</b>		<b>20</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>5</b>							
<b>საბაზისო სავალდებულო მოდულები</b>	<b>კერძო სამართალი</b>	<b>45</b>	<b>5</b>	<b>10</b>	<b>5</b>	<b>15</b>	<b>10</b>						
	<b>საჯარო სამართალი</b>	<b>25</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>5</b>						
	<b>სისხლის სამართალი</b>	<b>25</b>		<b>5</b>	<b>10</b>		<b>10</b>						
	<b>სამართლის საფუძვლები</b>	<b>10</b>	<b>10</b>										
<b>სპეციალიზაციის არჩევითი მოდულები (ასარჩევია 1 მოდული)</b>	<b>კერძო სამართალი</b>	<b>70</b>						<b>25</b>	<b>25</b>	<b>20</b>			
	<b>საჯარო სამართალი</b>	<b>70</b>						<b>25</b>	<b>25</b>	<b>20</b>			
	<b>კონსტიტუციური და ადმინისტრაციული სამართალი</b>	<b>70</b>						<b>25</b>	<b>25</b>	<b>20</b>			
<b>არჩევითი კურსები</b>		<b>45</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>10</b>	
		<b>სულ</b>	<b>240</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში, ლ./პ./ს./ლაბ./ - ლექცია/ პრაქტიკული/ სემინარი/ ლაბორატორიული

## 7. პროგრამით გათვალისწინებული კურსების მოკლე ანოტაციები.

### კურსის კოდი:SLB0610

#### შესავალი სამოქალაქო სამართალში (5კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების ცნება და კლასიფიკაცია; უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა; სახელის უფლება და საცხოვრებელი ადგილი; უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება; იურიდიული პირის ცნება და სახეები; გარიგების ცნება და სახეები; მოტყუებით, იძულებით და შეცდომით დადებული გარიგებები; პირობითი გარიგება, თანხმობა გარიგებებში, საცილო გარიგებანი; პირადი არაქონებრივი უფლებები; სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია; აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მიყენებული ზიანი; უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული ზიანი.

კურსის შესწავლის წინაპირობებია პარალელურად შემდეგი კურსის ათვისება: შესავალი სამართალმცოდნეობაში.

### კურსის კოდი:SLB0450

#### სანივთო სამართალი (5კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქონების ცნება; ნივთების სახეები; არამატერიალური ქონებრივი სიკეთის ცნება; მფლობელობის ცნება და სახეები; საკუთრების უფლების შინაარსი; საერთო საკუთრება; სამეზობლო სამართალი; საკუთრების შეძენა უძრავ ნივთებზე; საკუთრების შეძენა მოძრავ ნივთებზე; განძი და ნაპოვარი; საკუთრების შეძენა უფლებებსა და მოთხოვნებზე; ბინის საკუთრება მრავალბინიან სახლებში; ურთიერთობანი ბინის მესაკუთრეთა შორის; სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობა; უზუფრუქტი; სერვიტუტი; საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება; იპოთეკა; საჯარო რეესტრი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: შესავალი სამოქალაქო სამართალში;

### კურსის კოდი: SLB0130

#### ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ხელშეკრულების დადება და შინაარსი; ხელშეკრულების სტანდარტული პირობები და სახეები; ფულადი ვალდებულების შესრულება; კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება; მოვალის მიერ ვადის გადაცილება; ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს; ზიანის ანაზღაურების მოვალეობა; მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებანი; ვალდებულების შეწყვეტა; სოლიდარული კრედიტორები; სოლიდარული მოვალეობები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სანივთო სამართალი

### კურსის კოდი: SLB0140

#### ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ნასყიდობის და გაცვლის ხელშეკრულება; ჩუქების ხელშეკრულება; ქირავნობის ხელშეკრულება; ლიზინგის ხელშეკრულება; იჯარის ხელშეკრულება; ფრენშიაზინგის ხელშეკრულება; თხოვების ხელშეკრულება; სესხის ხელშეკრულება; ნარდობის ხელშეკრულება; ტურიზმის ხელშეკრულება; გადაზიდვის ხელშეკრულება; დავალების ხელშეკრულება; ექსპედიციის ხელშეკრულება; საშუამავლო

ხელშეკრულება; ჯილდოს საჯაროდ დაპირება, კონკურსი; მიზარების ხელშეკრულება; ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება; სამისდღემჩიო რჩენის ხელშეკრულება.  
**კუსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი.

**კურსის კოდი:SLB0460**

**საოჯახო და სამემკვიდრეო სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** დაქორწინების წესი და პირობები; ქორწინების შეწყვეტა, ბათილობა; მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები; შვილების წარმოშობის დადგენა; საალიმენტო მოვალეობები; შვილება; კანონისმიერი და ანდერძით მემკვიდრეობა; სამკვიდროს გახსნა; ანდერძის ფორმა; სავალდებულო წილი; ანდერძის შეცვლა და მოშლა; სამკვიდროს გაყოფა; კრედიტორის დაკმაყოფილება მემკვიდრეთა მიერ; სამკვიდროს დაცვა; სამკვიდრო მოწმობა.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი.

**კურსის კოდი:SLB0420**

**სამოქალაქო სამართლის პროცესი (10 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** სამართალწარმოების ძირითადი დებულებანი; განსჯადობა, სასამართლოს შემადგენლობა, აცილება; საპროცესო ვადები, საპროცესო უზრუნველყოფა; მხარეთა უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა; სასამართლო მტკიცებულებები; საქმეების წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში; გამარტივებული წარმოება; უდავო წარმოება; აპელაცია, კასაცია, კერძო საჩივარი; საქმის წარმოების განახლება.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** საოჯახო-სამემკვიდრეო სამართალი.

**კურსის კოდი:SLB0410**

**საკორპორაციო სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:**სამეწარმეო საქმიანობა არსი, მეწარმე სუბიექტები და მათი დაფუძნება. სახ-ფო და საგადასახადო რეგისტრაცია, საწარმოს სახელმწიფო და საზოგადო რეგისტრაციის პირობები, საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემთა ცვლილებების რეგისტრაცია, საწარმოს წილობრივი მონაწილეობის ცვლილებების რეგისტრაცია, საწარმის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები,

ინდივიდუალური მეწარმეებისა და სამეწარმეო ამხანაგობის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები. საფირმო სახელწოდება, გენერალური სავაჭრო მინდობილობა და იურდიულ მოქმედებათა განხორციელების უფლებამოსილება. სავაჭრო წარმომადგენელი და დამოუკიდებელი მოვაჭრე კომისიონერი

ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა) საზოგადოების ხელმძღვანელობა, პარტნიორის კონტროლის უფლება, პარტნიორის გასვლა საზოგადოებიდან.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** სამოქალაქო სამართლის პროცესი.

**კურსის კოდი:SLB0620**

**შრომის სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; სამუშაოს შესრულება; სამუშაო, შესვენების და დასვენების დრო; შვებულება; შრომის ანაზღაურება; შრომის

პირობების დაცვა; შრომითი ურთიერთობის შეცვლა, შეჩერება და შეწყვეტა; კოლექტიური ხელშეკრულება; პასუხისმგებლობა და დაცვა.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** სამოქალაქო სამართლის პროცესი;

**კურსის კოდი:SLB0180**

**კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** კონსტიტუციის ცნება, არსი, იურიდიული მნიშვნელობა და კონსტიტუციის სახეები; სახელმწიფო, როგორც საზოგადოებრივ პოლიტიკური მოვლენა; სახელმწიფოს ნიშნები; სახელმწიფო ხელისუფლება; სახელმწიფოს ფუნქციები; სახელმწიფოს მექანიზმი; სამართლებრივი სახელმწიფო; სახელმწიფოს ფორმები; რეგიონალიზმის სახეები; ფედერალიზმი და ავტონომია; ეთნიკური ფედერალიზმის ცნება; ფედერალური ტერიტორიის ცნება; უნიტარიზმი; პოლიტიკური რეჟიმის ცნება.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა პარალელურად შემდეგი კურსის ათვისება** შესავალი სამართალმცოდნეობაში.

**კურსის კოდი: SLB0020**

**ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ძირითადი უფლებების ცნება და სუბიექტები; იურიდიული პირი, როგორც ძირითადი უფლებების სუბიექტი; ძირითადი უფლებების კლასიფიკაცია და ფუნქცია; თანასწორობა სასამართლო პროცესში; საარჩევნო თანასწორობა; სიცოცხლის უფლება; ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება; ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა; ადამიანის თავისუფლების ხელშეუხებლობა; სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლება; ინფორმაციისა და პრესის თავისუფლება; საკუთრების უფლების დაცვა; სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა; ქალთა შრომის უფლება; შრომის ანაზღაურება, ჯანსაღი და უსაფრთხო შრომის უფლება; უფლება კანონიერ სასამართლოზე; უმცირესობის ცნება.

**კურსის შეწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი.

**კურსის კოდი: SLB0150**

**ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** საჯარო მმართველობის ცნება და ორგანიზაცია; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციული სტრუქტურა; საჯარო მოსამსახურეთა კლასიფიკაცია, უფლებები და მოვალეობები; ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ცნება, სახეები, ფუნქციები, ოფიციალური გაცნობა, კანონიერება, გაუქმების სახეები; ნორმატიული ადმინისტრაციული აქტის ცნება, კლასიფიკაცია, გამოცემა, კანონიერება; ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება, კანონიერება, ბათილობა; რეალაქტი; ადმინისტრაციული საქმის წარმოების არსი და სახეები; ადმინისტრაციული აღსრულების ცნება, ეტაპები და პრინციპები; ადმინისტრაციული საჩივრის ცნება; საჯარო ინფორმაციის ცნება, ფორმა და სახეები.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** შესავალი სამართალმცოდნეობაში; კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი;

**კურსის კოდი:SLB0330**

**საერთაშორისო საჯარო სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** საერთაშორისო სამართლის ცნება, წყაროები; საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობა; საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები; საერთაშორისო სამართლის სუბიექტი; საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი; საერთაშორისო ორგანიზაციები; პასუხისმგებლობა

საერთაშორისო სამართალში; დიპლომატიური და საკონსულო სამართალი; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი; საერთაშორისო დანაშაულის ცნება; ტერიტორია და საერთაშორისო სამართალი; საერთაშორისო საზღვაო სამართალი; საჰაერო და კოსმოსური სივრცის სამართალი; საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის საშუალებანი; საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

**კურსის კოდი:SLB0060**

**ადმინისტრაციული სამართლის პროცესი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** საერთო სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები; მხარეები ადმინისტრაციულ პროცესში; გამარტივებული და დაჩქარებული ადმინისტრაციული წარმოება; ვადები ადმინისტრაციულ პროცესში; მტკიცების ტვირთი და მტკიცებულებები; ადმინისტრაციული სარჩელის დასაშვებობის კრიტერიუმები, ადმინისტრაციული სარჩელის სახეები; სააპელაციო საჩივარი; საკასაციო საჩივარი; შემაკავებელი ორდერი; სასამართლოში მეწარმის საქმიანობის შემოწმების წესი; აღიარებითი ადმინისტრაციული სარჩელი და მისი სახეები.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება** ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი

**კურსის კოდი:SLB0530**

**სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** სისხლის სამართლის პრინციპები; პოლიტიკა სისხლის სამართალში და სისხლის სამართლის თეორია; სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და მისი საფუძველი დანაშაული; სისხლის სამართლის კანონი; დანაშაულის შემადგენლობა; დანაშაულის ობიექტი; დანაშაულის ობიექტური მხარე; დანაშაულის სუბიექტური მხარე; დაუმთავრებელი დანაშაული; დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა, დანაშაულის შემსრულებლობა; მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები; ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი; ერთიანი დანაშაული და დანაშაულთა სიმრავლე; სასჯელის ცნება და მიზნები, სისტემა და სახეები; სასჯელის დანიშვნა; ამნისტია, შეწყალება, ნასამართლეობა; არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა; სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** შესავალი სამართალმცოდნეობაში.

**კურსის კოდი:SLB0540**

**სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (10 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** დანაშაული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ; ეკონომიკური დანაშაული; დანაშაული ფულად საკრედიტო სისტემაში; დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიური საქმიანობის წინააღმდეგ; დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ; ნარკოტიკული დანაშაული; დანაშაული გარემოს და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ; დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ; დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოების ზნეობის წინააღმდეგ; დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ; დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ; დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი.

**კურსის კოდი:SLB0560**

**სისხლის სამართლის პროცესი (10 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები; პროკურორის უფლებამოსილებანი სასამართლოში; გამომძიებლის სტატუსი; პირის დაზარალებულად ცნობა; პირის ეჭვმიტანილად და ბრალდებულად ცნობა; დამცველის უფლება-მოვალეობანი; სამოქალაქო მოსარჩელე და მოპასუხე; ექსპერტიზა, მტკიცების ცნება; მტკიცებულებათა სახეები; დაკავება, აღკვეთის ღონისძიებები, დაპატიმრება, გირაო, პირადი თავდებობა; ქონებაზე ყადაღის დადება; დაკითხვა; ამოღება; ჩხრეკა; საგამომძიებო ექსპერიმენტი; წარდგენა ამოსაცნობად; განაჩენის დადგენა და სახეები; აპელაცია და კასაცია; წარმოება არასრულწლოვნთა მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეებზე; საპროცესო შეთანხმება და სასჯელისაგან გათავისუფლება.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** სისხლის სამართლის კერძო ნაწილი;.

**კურსის კოდი:SLB0600**

**შესავალი სამართალმცოდნეობაში (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** სამართლის ცნება, არსი და ნიშნები; სამართლის პრინციპები; პოლიტიკა, სამართალი და ზნეობა; სამართლებრივი მოწესრიგება; სამართლის ფორმები (წყაროები) სამართალშემოქმედება; სამართლის და კანონმდებლობის სისტემების თანაფარდობა; სამართლებრივი ურთიერთობა; სამართლის ნორმის ახსნა-განმარტება; სამართლის რეალიზაცია და სამართლის ნორმის შეფარდება; მართლზომიერი ქცევა და სამართალდარღვევა; იურიდიული პასუხისმგებლობა; კანონიერება და მართლწესრიგი.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა პარალელურად შემდეგი კურსების ათვისება:** ქართული სამართლის ისტორია; კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი.

**კურსის კოდი:SLB0590**

**ქართული სამართლის ისტორია (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ქართული სამართლის წყაროები; ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი; ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი; გიორგი ბრწყინვალეს სამართლის წიგნი; ვახტანგ მეექვსეს სამართლის წიგნი; კათალიკოზთა სამართალი; კანონიკური სამართალი; საქართველოს ჩვეულებითი სჯული; “დასტურლამალი”, “ხელმწიფის კარის გარიგება”; ძველი ქართული სისხლის სამართალი; საოჯახო-სამემკვიდრეო სამართალი; ვალდებულებითი სამართალი; სასამართლო ორგანიზაცია და პროცესის საკითხები; მორიგის ლაშქრობის განაჩენი; სამოქალაქო და სისხლის სამართლის ექსპედიციები.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა პარალელურად შემდეგი კურსების ათვისება:** შესავალი სამართალმცოდნეობაში; კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი.

**კურსის კოდი: SLB0081**

**გაკოტრების სამართალი (5კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** გაკოტრების წარმოების წინაპირობები; გაკოტრების წარმოების ორგანოები და მხარეები; სასამართლო განსჯადობა გადახდის უუნარობასთან დაკავშირებით; გასაჩივრება; განცხადება გადახდის უუნარობის შესახებ (წარმოებაში საქმის მიღება); გაკოტრება; რეაბილიტაცია; საზღვარგარეთ წარმოებული გადახდის უუნარობის საქმე.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** სამოქალაქო სამართლის პროცესი.

**კურსის კოდი:SLB0291**

**საბანკო სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** საბანკო ანგარიშსწორება (ანგარიშის ამონაწერების მიცემის ვალდებულება, ანგარიშიდან ფულადი სახსების ჩამოწერა, საიდუმლოების დაცვის ვალდებულება, გადახდა ჩეკის საფუძველზე, ჩეკის ინკასირება); საბანკო კრედიტი (საპროცენტო განაკვეთები, ხელშეკრულების შეწყვეტა, ზიანის ანაზღაურება კრედიტის ვადამდე დაბრუნებისათვის): ანაბარი; დოკუმენტალური სასაქონლო აკრედიტივი,

დოკუმენტალური ინკასო (საინკასო დავალება); საბანკო გარანტია (საზღაური საბანკო გარანტიისათვის, საბანკო გარანტიის გამოთხოვის დაუშვებლობა, ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის სხვა პირისათვის გადაცემის დაუშვებლობა, გარანტიის ვალდებულების ფარგლები); თავდებობა; კონტოკორენტი.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი;

**კურსის კოდი: SLB0091**

**დაზღვევის სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** დაზღვევის ცნება; დაზღვევის ხელშეკრულების დადების ვალდებულება; სავალდებულო დაზღვევა; სადაზღვევო მოწმობა (პოლისი); სადაზღვევო მოწმობის სახეები; დაზღვევის დაწყების დრო; ხელშეკრულების მოშლა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ; სადაზღვევო შესატანი (სადაზღვევო შესატანის გადახდის ვალდებულება, პირველი სადაზღვევო შესატანი), სადაზღვევო შესატანის გადახდის შეწყვეტა; ზიანის ანაზღაურება (ზიანის ანაზღაურების ფარგლები); ქონების დაზღვევის თავისებურებანი, შემცირებული ან არასრული დაზღვევა; დაზღვევა სხვა პირის სასარგებლოდ; სიცოცხლის დაზღვევა; უბედურის შემთხვევის დაზღვევა.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი;

**კურსის კოდი:SLB0581**

**ფასიანი ქაღალდების სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდებიდან წარმოშობილი ვალდებულება (ცნება, ემიტენტის შესაგებელი, უფლებათა გადასვლის წესი, ემიტენტის უფლებები, ემიტენტის მოვალეობა, ფასიანი ქაღალდის გამოცხადება ძალადაკარგულად); საორდერო ფასიანი ქაღალდებიდან წარმოშობილი ვალდებულება უფლებათა გადაცემა, ინდოსამენტის სახეები, ინდოსირებით შემენილი დოკუმენტების გამოყენების წესი, წერილობით გარანტირებული მოთხოვნები); პირადი ფასიანი ქაღალდები.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი;

**კურსის კოდი:SLB0311**

**საერთაშორისო კერძო სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** საერთაშორისო კერძო სამართლის მნიშვნელობა; საკოლიზიო ნორმების ცნება და შინაარსი; პირების ცნება; სანივთო სამართლის საკითხები; დელიქტების საკოლიზიო საკითხები; საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლებრივი ურთიერთობები; საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი; საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟი.კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ;თავისუფალი ტრანზიტის კონვენცია და სტატუსი; კონვენცია რომელიც აუქმებს უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნას.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი;

**კურსის კოდი:SLB0230**

**მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** გირავნობის ცნება და სახეები; გირავნობის ფარგლები; მფლობელობითი გირავნობა; რეგისტრირებული გირავნობა; ლომბარდში ნივთების დაგირავების წესი; მოგირავნის და დამგირავებლის უფლებები და მოვალეობები; სუროგაცია; გარიგების დადება გირავნობის საგანზე; გირავნობის უფლების გადასვლა ახალ კრედიტორზე; გირავნობის საგნის გასხვისება; გირავნობის საგნის რეალიზაცია; იპოთეკის ცნება (საერთო

იპოთეკა, მესაკუთრის იპოთეკა); იპოთეკის რეგისტრაცია; იპოთეკით დატვირთული ნივთის მოვლის მოვალეობა; იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის მოთხოვნა; პირგასამტეხლო; ბე; მოვალის გარანტია.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი;

**კურსის კოდი:SLB0271**

**საავტორო სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** საავტორო სამართლის მოქმედების სფერო; საავტორო უფლებები, საავტორო უფლებების დამოუკიდებლობა საკუთრების უფლებებისაგან, ნაწარმოებები, რომლებზეც არ ვრცელდება საავტორო უფლება; საავტორო უფლების წარმოშობა, შედგენილი ნაწარმოებისა და გადამუშავებული ნაწარმოების ავტორის უფლებები და გამომცემლის განსაკუთრებული უფლებები; ნაწარმოების ავტორის პირადი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, სახვითი ხელოვნების ავტორის უფლებები; ქონებრივი უფლებების შეზღუდვა; საავტორო უფლებათა გადაცემა; საავტორო უფლებათა მომიჯნავე უფლებები; საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვა; საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვის საქმეებზე სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებები; საავტორო უფლების ობიექტები; საავტორო უფლების წარმოშობა; ავტორობის პრეზუმფცია და თანაავტორობა; ავტორის პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებები; ქონებრივი უფლებების შეზღუდვა; საავტორო უფლებათა დაცვა.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი;

**კურსის კოდი:SLB0441**

**სამრეწველო საკუთრების სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** სამრეწველო საკუთრების სამართლის ადგილი ინტელექტუალურ საკუთრების სამართლის მეცნიერებაში; პატენტი; ავტორი და პატენტმფლობელი; განაცხადი პატენტზე; საპატენტო ექსპერტიზა და პატენტის გაცემა; საპატენტო უფლებათა სარგებლის ფასეულები; ლიცენზია- სამრეწველო საკუთრების სამართლის ობიექტებს გამოყენებაზე; საპატენტო დავა და პასუხისმგებლობა; სასაქონლო ნიშნებზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება და შენარჩუნება; სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებების გადაცემა; სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლებათა დაკარგვა; კოლექციური ნიშანი; სასაქონლო ნიშნის დაცვა და ამ დაცვის უზრუნველყოფა; გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშზე უფლებათა დაცვა; სასელექციო უფლებათა დაცვა; საფირმო სახელწოდების დაცვა; საწარმო-კომერციული საიდუმლოების დაცვა; პატენტმფლობელობის უფლებები და მოვალეობები; სასაქონლო ნიშნებზე უფლებების მოპოვების გზები.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** საავტორო სამართალი;

**კურსის კოდი:SLB0241**

**მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ინფორმაცია პროდუქციის შესახებ, მომხმარებლის უფლება ინფორმაციაზე, ინფორმაცია პროდუქციის შესახებ; პასუხისმგებლობა არასათანადო ინფორმაციისათვის; პასუხისმგებლობა მომხმარებლის უფლებების შელახვისათვის, ქონებრივი პასუხისმგებლობა; მომხმარებელთა უფლებები და მათი დაცვა საქონელის გაყიდვის, სამუშაოთა შესრულების და მომსახურეობისას; ანგარიშგასწორება მომხმარებელთან ნაკლოვანების მქონე საქონლის შეძენის შემთხვევაში; მომხმარებლის უფლება შეძენილი საქონლის სათანადო ხარისხზე; სამუშაოს შესრულების და ვადების დარღვევის შედეგები; მომხმარებლის უფლებები სამუშაო ნაკლოვანებათა აღმოჩენის შემთხვევაში; მომხმარებელთა უფლებების სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაცვა; შესაძენი საქონლის ღირებულების გადახდის ფორმა და წესი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: სამრეწველო საკუთრების სამართალი.

კურსის კოდი: SLB0171

კერძო დავების გადაწყვეტა ზემდგომ ინსტანციის სასამართლოში (10 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ პრაქტიკულ ელემენტებს: ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობების დავები (ჩუქება, სესხი, ნასყიდობა); სამემკვიდრეო, საოჯახო, სამზეობლო დავები. პრაქტიკის ელემენტები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის სამოქალაქო სამართლის პროცესი.

კურსის კოდი:SLB0321

საერთაშორისო სავაჭრო სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ; გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ; შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ; თავისუფალი სავაჭრო ზონა; სავაჭრო პოლიტიკის განხილვის მექანიზმი; შეთანხმება იმპორტის ლიცენზირების პროცედურების შესახებ; შეთანხმება ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ; კონვენცია ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ხელშეკრულებათა შესახებ.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი;

კურსის კოდი:SLB0390

საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი (10 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: აშშ; გერმანიის; დიდი ბრიტანეთის; ესპანეთის; იაპონიის; იტალიის კონსტიტუციური სამართლის საფუძვლები; კანადის; რუსეთის; საფრანგეთის; უნგრეთის; ავსტრიის; ეგვიპტის კონსტიტუციური სამართლის საფუძვლები; ინდოეთის; ირანი; ისრაელის; პოლონეთის; პორტუგალიის; საბერძნეთის; შვედეთის; შვეიცარიის კონსტიტუციური სამართლის საფუძვლები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: საერთაშორისო საჯარო სამართალი.

კურსის კოდი:SLB0280

საარჩევნო სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ამომრჩეველთა რეგისტრაცია; საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები; საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები( არჩევნების მეორე ტური, ხელახალი არჩევნები, რიგგარეშე არჩევნები); საქართველოს პარლამენტის არჩევნები (არჩევნებში მონაწილე სუბიექტების რეგისტრაცია, არჩევნების შედეგების შეჯამება); ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს არჩევნები (საარჩევნო ოლქები და უბნები); მუნიციპალიტეტების და თვითმმართველი ქალაქის საკრებულოების არჩევნები; საქართველოს დედაქალაქის თბილისის საკრებულოს არჩევნები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი.

კურსის კოდი: SLB0030

ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები და ძირითადი პრინციპები; თვითმმართველი ერთეული; თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებანი; ადგილობრივი თვითმმართველობის

ორგანოები და თანამდებობის პირები; ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი; ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს სტრუქტურა და უფლებამოსილებანი; ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტები; თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა; საკრებულოს დათხოვნა (საქმიანობის შეჩერება, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა).

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი, პარალელურად საარჩევნო სამართალი.

**კურსის კოდი: SLB0430**

**სამოხელეო სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი შეიცავს შემდეგ თემებს:** საჯარო სამსახურისა და სახელმწიფო თანამდებობის ცნება; სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების ცნება; საჯარო მოსამსახურეების ცნება და სახეები; საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს, განაკვეთის და თანამდებობათა დასახელების დადგენა; სახელმწიფო მოხელისათვის დადგენილი ძირითადი მოთხოვნები; მოხელის გამოსაცდელი ვადა; საჯარო სამსახურში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტები; თანამდებობაზე დანიშვნა კონკურსის წესით და უკონკურსოდ; მოსამსახურის უფლებები და გარანტიები; სამსახურეობრივი მოვალეობანი, საჯარო სამსახურში თანამდებობათა რანგირება.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა პარალელურად შემდეგი კურსების ათვისება:** საარჩევნო სამართალი; ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი.

**კურსის კოდი: SLB0050**

**ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებული ნაწილი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა; ადმინისტრაციული სახდელის დადგენა; ადმინისტრაციული სამართალდარღვევა შრომის, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში; ადმინისტრაციული სამართალდარღვევები გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის, ისტორიის და კულტურის ძეგლთა დაცვის დარგში; სოფლის მეურნეობაში; ტრანსპორტზე, საგზაო მეურნეობასა და კავშირგაბმულობის დარგში; მოქალაქეთა საბინაო უფლებების, საბინაო კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის დარგში; ფინანსების დარგში; საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი და მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; ადმინისტრაციული სამართლის პროცესი.

**კურსის კოდი: SLB0370**

**საზოგადოებრივი მართლწესრიგის სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** მართლწესრიგის ცნება; სამართლის როლი საზოგადოებრივი რეგულირების სფეროში; მართლწესრიგის დაცვის საკანონმდებლო უზრუნველყოფა და სახელმწიფო ადმინისტრირება; მართლწესრიგის მარეგულირებელი ნორმები და მათი თავისებურებანი. საქართველოს კანონები: პოლიციის შესახებ; ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ; იარაღის შესახებ; ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის წინააღმდეგ; ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ; ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ; ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** სისხლის სამართლის კერძო ნაწილი;

**კურსის კოდი: SLB0380**

**საზოგადოებრივი მართლწესრიგის სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** მართლწესრიგის ცნება; სამართლის როლი საზოგადოებრივი რეგულირების სფეროში; მართლწესრიგის დაცვის საკანონმდებლო უზრუნველყოფა და სახელმწიფო ადმინისტრირება; მართლწესრიგის მარეგულირებელი ნორმები და მათი თავისებურებანი. საქართველოს კანონები: პოლიციის შესახებ; ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ; იარაღის შესახებ; ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის წინააღმდეგ; ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ; ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ; ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** სისხლის სამართლის კერძო ნაწილი;

**კურსის კოდი: SLB0490**

**საქართველოს მოქალაქეობის სამართლებრივი საფუძველი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** მოქალაქეობის უფლება; საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება (საფუძვლები); საქართველოს მოქალაქედ მიღების პირობები (განსაკუთრებული პირობები); საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა; საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძვლები; საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის წესი; მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი;

**კურსის კოდი: SLB0070**

**აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაცია (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** საქართველოს მთავრობის ფორმირება, მთავრობის სტრუქტურა და კომპეტენცია; მთავრობის ურთიერთობა საქართველოს პრეზიდენტთან; მთავრობის ხელმძღვანელობა და მისი საქმიანობის ორგანიზაცია; მთავრობის კანცელარია; (მთავრობის კანცელარიის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის ორგანიზება) სამინისტროების უფლებამოსილება და საქმიანობა. საქ. მთავრობის სხდომები, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები, სახელმწიფოს წარმომადგენლობა, აფხაზეთისა და აჭარის ავტ. რესპ. აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები. სათათბირო ორგანოები, სამსახურებრივი ზედამხედველობა.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი; საარჩევნო სამართალი;

**კურსის კოდი: SLB0480**

**საფინანსო სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ფინანსების ცნება და საქართველოს საფინანსო სისტემა; საფინანსო სამართლის ცნება, მნიშვნელობა და პრინციპები; საფინანსო-სამართლებრივი ნორმები და ურთიერთობანი; ბიუჯეტი; საფინანსო კონტროლი (კონტროლის სახეები, კონტროლის პალატის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, ადგილობრივი საფინანსო კონტროლი, აუდიტორული საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი); საზღვარგარეთის ქვეყნების საბიუჯეტო სამართალი, საგადასახადო სამართალი, საბანკო საქმიანობა; საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობებში.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** საარჩევნო სამართალი; ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი;

**კურსის კოდი: SLB0120**

**ეკოლოგიური სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ეკოსისტემა, როგორც სამართლებრივი რეგულირების ობიექტი; საკუთრების უფლება ბუნების ობიექტებზე; ბუნებით სარგებლობის უფლება;

ბუნებით სარგებლობისა და გარემოს დაცვის სახელმწიფოებრივი მმართველობა; ეკოლოგიურ სამართლებრივი პასუხისმგებლობა; ბუნების ობიექტების (მიწა, წყალი, წიაღი, ტყე, ატმოსფერული ჰაერი, დაცული ტერიტორიები) სამართლებრივი დაცვა; ბუნების საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვა.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებული ნაწილი;

**კურსის კოდი:SLB0300**

**საგადასახადო და საბაჟო სამართალი (10 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო კონტროლი; საგადასახადო სამართალდარღვევა და იურიდიული პასუხისმგებლობა; საგადასახადო დავა; გადასახადის სახეები; საგადასახადო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები და მათი უფლებამოსილებები; საბაჟო რეჟიმები; საბაჟო შეღავათები (პრეფერენციები); საბაჟო ვალდებულება; საბაჟო დავა; საბაჟო სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** საფინანსო სამართალი;

**კურსის კოდი:SLB0200**

**კრიმინოლოგია (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** კრიმინოლოგიის სისტემა; დანაშაულობის ცნება; დანაშაულობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების ცნება; დანაშაულის ჩამდენი პირის ცნება; ლატენტური დანაშაულობის ცნება; ვიქტიმოლოგია; დანაშაულობის თავიდან აცილების ცნება; დანაშაულობის პროგნოზირების ცნება და დანაშაულობასთან ბრძოლის დაგეგმვა; პროფესიული დანაშაულობა; ორგანიზებული დანაშაულობა; რეციდივული დანაშაულობა; არასრულწლოვანთა დანაშაულობა.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი; სისხლის სამართლის პროცესი.

**კურსის კოდი: SLB0110**

**დანაშაულის კვალიფიკაცია (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** დანაშაულის კვალიფიკაცია მისი ობიექტის მიხედვით; დანაშაულის კვალიფიკაცია მისი ობიექტური მხარის მიხედვით; დანაშაულის კვალიფიკაცია მისი სუბიექტისა და სუბიექტური მხარის მიხედვით; თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულთა კვალიფიკაცია; ეკონომიკური დანაშაულის კვალიფიკაცია; დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ; ნარკოტიკული დანაშაული და მისი კვალიფიკაცია; დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ და მისი კვალიფიკაცია; ტერორიზმი და მისი კვალიფიკაცია; დანაშაული სასამართლო ორგანოების წინააღმდეგ და მისი კვალიფიკაცია.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** სისხლის სამართლის კერძო ნაწილი;სისხლის სამართლის პროცესი.

**კურსის კოდი: SLB0100**

**დანაშაულის გახსნის მეთოდოლოგია (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** საგამოძიებო სიტუაციის ცნება; სახელმწიფო ქონების დატაცებათა გამოძიება; დატაცებათა კრიმინალისტიკური დახასიათება, საქმის აღძვრის საბაზი და საფუძველი; მკვლელობის საქმეთა გამოძიების მეთოდოლოგია; გაუპატიურების გამოძიების მეთოდოლოგია; საგამოძიებო ვერსიების აგება და გამოძიების დაგეგმვა; საგამოძიებო მოქმედებათა

ჩატარების ტაქტიკა და ოპერატიულ სამმებრო ღონისძიება; ქურდობის, ძარცვის და ყაჩაღობის საქმეთა გამოძიების მეთოდოლოგია; თანამდებობრივი დანაშაულის გამოძიების მეთოდოლოგია.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება;** სისხლის სამართლის კერძო ნაწილი; სისხლის სამართლის პროცესი.

**კურსის კოდი:SLB0470**

**სასჯელაღსრულებითი სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** თავისუფლების აღკვეთის აღსრულება; არასაკმატომრო სასჯელთა აღსრულების სამართლებრივი რეგულირება; საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულთა მიერ სასჯელის მოხდის სამართლებრივი რეგულირება; საპრობილემო სასჯელის მოხდის სამართლებრივი რეგულირება; საპრობილემო, როგორც სასჯელის მოხდის და წინასწარი პატიმრობის აღსრულების ორგანო, სასჯელაღსრულების დაწესებულებათა და მათი ობიექტების დაცვა; სასჯელის აღსრულების ორგანოები და კანონმდებლობები საზღვარგარეთის ქვეყნებში.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება;** სისხლის სამართლის კერძო ნაწილი; სისხლის სამართლის პროცესი.

**კურსის კოდი:SLB0220**

**მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპები (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** მართლმსაჯულების ცნება; სასამართლოს დამოუკიდებლობის კონსტიტუციური საფუძვლები; მოსამართლის დამოუკიდებლობა და კანონისადმი მორჩილება; უდანაშაულობის პრეზუმფცია; მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა; საქვეყნოობის პრინციპი; სამართალწარმოების ენა; სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების საფუძვლები.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** სისხლის სამართლის პროცესი.

**კურსის კოდი:SLB0250**

**მტკიცებითი სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** მტკიცებულების ცნება და სახეები; მოწმის ჩვენება; ექვიტანისა და ბრალდებულის ჩვენება; საგამოძიებო მოქმედების, სასამართლო მოქმედებისა და სასამართლო განხილვის ოქმი; ექსპერტის დასკვნა; ნებისმიერი სახის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი; მტკიცებულების დასაშვებობა და შესაბამისობა; მტკიცების სუბიექტი; მტკიცებითი პროცესი— მტკიცებულებათა მოპოვება, შეკრება და საპროცესო დამაგრება; არასაპროცესო გზით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება;** სისხლის სამართლის კერძო ნაწილი; სისხლის სამართლის პროცესი.

**კურსის კოდი:SLB0340**

**საერთაშორისო სისხლის სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს :** კონვენცია სისხლისსამართლებრივ განაჩენთა საერთაშორისო აღიარების შესახებ; კონვენცია მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ; ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ; ევროპული კონვენცია სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ; კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენცია,საერთაშორისო კონვენცია მძევლების აყვანის წინააღმდეგ;საერთაშორისო კონვენცია აპარტიდის დანაშაულის აღკვეთის და მისი დასჯის შესახებ; კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ; კონვენცია ყალბი ფულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** სისხლის სამართლის კერძო ნაწილი; საერთაშორისო საჯარო სამართალი.

**კურსის კოდი:SLB0350**

**საერთაშორისო სისხლის სამართლის იუსტიცია ( 5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ნიურნბერგის , ახლო აღმოსავლეთის , ყოფილი იუგოსლავიის და რუანდის ტრიბუნალები; სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება; სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია; გენოციდი; ომის დანაშაული, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ; აგრესია; საერთაშორისო თანამშრომლობა და სასამართლო დახმარება.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** სისხლის სამართლის კერძო ნაწილი; საერთაშორისო საჯარო სამართალი.

**კურსის კოდი: SLB0190**

**კრიმინალისტიკა (10 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** კრიმინალისტიკის მეთოდოლოგია;საგანი, სისტემა და ამოცანები;საერთომეცნიერული და კრიმინალისტიკური მეთოდები. ცალკეულ დანაშაულობათა გამოძიების მეთოდიკა;კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია;საზოგადოებრიობის ჩაბმა დანაშაულის გახსნისა და გამოძიების პროცესში. გამომძიებლის ურთიერთკავშირი ოპერატიულ-სამძებრო სამსახურთან დანაშაულის გახსნის პროცესში. კრიმინალისტიკური ტექნიკა, კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია, ტრასოლოგია;ბალისტიკა; ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევა; გამოძიების ორგანიზაცია და დაგეგმვა; ძებნა; შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკა; ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ტაქტიკა; ამოსაცნობად წარდგენის ტაქტიკა.დოკუმენტების ტექნიკურ- კრიმინალისტიკური გამოკვლევა, გარეგნობის ნიშანთა მიხედვით პიროვნების კრიმინალისტიკური ინდენტიფიკაცია-(სიტყვიერი პორტრეტი) კრიმინალისტიკური რეგისტრაცია.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** სისხლის სამართლის პროცესი; დანაშაულის გახსნის მეთოდიკა.

**კურსის კოდი: SLB0401**

**საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია ( 5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ეგვიპტის , ბაბილონის , ძველი საბერძნეთის , ძველი რომის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია; ფრანკთა სახელმწიფო და სამართალი; გერმანიის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია; იტალიის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია; საფრანგეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია; დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია; პოსტსაბჭოთა ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა პარალელურად შემდეგი კურსის ათვისება:** ქართული სამართლის ისტორია;

**კურსის კოდი:HAB0311**

**ლათინური ენა (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ენის ასპექტების წერის, კითხვის, მოსმენის, საუბრის სწავლება: **წერაში** სტუდენტი შეისწავლის წინადადების აგების ნორმებს; აბზაცის ორგანიზაციას; მთავარი, განმავითარებელი და შემაჯამებელი წინადადებების წერას; აბზაცების სახეობებს, საქმიანი ქაღალდების შედგენას. **კითხვაში** სტუდენტი დაეუფლება კითხვის სხვადასხვა მეთოდს კითხვის მიზნების შესაბამისად: დეტალური ინფორმაციის, ზოგადი ინფორმაციის, მთავარი ინფორმაციის (ტექსტის სწრაფი კითხვით) მიღებისათვის. **მოსმენაში** სტუდენტი განივითარებს მოსმენის საბაზო უნარ-ჩვევებს აუდიო-ვიდეო მასალის გამოყენებით. **საუბარში** სტუდენტი შეიძენს მარტივი დიალოგისა და მონოლოგის წარმართვის კომპეტენციას ისეთ თემებზე, როგორებიცაა იდენტობა, პროფესია, ოჯახი, მსოფლიო და თანამედროვე პრობლემები.

**კურსის კოდი: SFB0151**

**ლოგიკა (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ჭეშმარიტების დადგენის გზები. ბჭობა და ბჭობაში დაშვებული შეცდომები. აზროვნების ძირითადი კანონები. საწინადადებო მაკავშირებლები და მათი თვისებები. ლოგიკური გამომდინარეობის ზოგადი წესები. ცნება ცნების სახეები და ძირითადი დამოკიდებულებები ზოგად ცნებებს შორის. ცნებათა შემუშავების ხერხები. კლასიფიკაციის, კატეგორიული სოლოგიზმის თეორია. სოლოგიზმის წესები. ინდუქციური და დედუქციური დასკვნები. მიზნობრივი კავშირის დადგენის მეთოდები, ჰიპოთეზა, ალბათობა. დასაბუთების სახეები, შეცდომები დასაბუთებაში. კამათი (პოლემიკა) და მისი სახეები. მოკამათეთა ურთიერთობის პრინციპები. კამათის წარმართვის ხერხები, სოფიზმები. დაცვისა და შეტევის ლოგიკური წესები კამათში

**კურსის შესავალის წინაპირობა შემდეგი კურსების ათვისება:**

**კურსის კოდი: SHB0081**

**საქართველოს ისტორია (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ქართველთა წარმომავლობის პრობლემა ; საქართველო ანტიკურ ხანაში; ქართლი V ს. ვახტანგ გორგასალი; საქართველო არაბთა ბატონობის პერიოდში ; ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის (ბაგრატ III ); საქართველო XI საუკუნეში (გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი II ); დავით აღმაშენებელი ; მეფე თამარი, მონღოლთა ბატონობის დამყარება საქართველოში - გიორგი ბრწყინვალე; საქართველო XV საუკუნეში ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლა სამეფო-სამთავროებად; საქართველო XVI-XVII საუკუნეებში, საქართველო XVIII საუკუნეში; საქართველო XIX-XX საუკუნეებში.

**კურსის კოდი: SFB0251**

**სამართლის ფილოსოფია (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** სახელმწიფოსა და სამართლის ძირითადი თავისებურებანი, ადამიანურ უფლებათა დაცვის სამართლებრივი უზრუნველყოფის სისტემური თვალსაზრისი, უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებული დილემის ლოგიკურ-გნოსეოლოგიური გადაწყვეტის გზები, ადამიანის უფლებათა დეკლარაციის სულისკვეთება და მისი რეალიზაციის პრობლემები, სასამართლოს დამოუკიდებლობის სოციალური და პოლიტიკური უზრუნველყოფის პირობები, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფილოსოფიური შეფასება.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** ლოგიკა.

**კურსის კოდი: SLB0261**

**რომის კერძო სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** რომის კერძო სამართლის წყაროები ;სარჩელები; საკუთრების უფლება და სახეები; საკუთრების უფლების შეძენა; შეწყვეტა და საკუთრების უფლების დაცვა; უფლებები სხვის ნივთზე; ვალდებულებითი სამართალი (ხელშეკრულების ცალკეული სახეები); კერძო დანაშაულებანი;

პირები რომის კერძო სამართალში; ძველი რომის მემკვიდრეობითი სამართალი; ძველი რომის საოჯახო სამართალი.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** ქართული სამართლის ისტორია, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია.

**კურსის კოდი: SFB0121**

**იურიდიული ფსიქოლოგია (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიური თავისებურებები; დამნაშავეთა ფსიქოლოგიური ტიპები; ძიების ფსიქოლოგია; დაკითხვის ფსიქოლოგია; მოწმის ფსიქოლოგია, სასამართლო განხილვის ფსიქოლოგია; პენიტენციალური სისტემის ფუნქციონირების ფსიქოლოგიური პრინციპები.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** სისხლია სამართლის ზოგადი ნაწილი; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი.

**კურსის კოდი: SFB0241**

**სამართლის სოციოლოგია (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: დანაშაულის სოციალური ანატომია, ნორმალური და პათოლოგიური ქცევის სოციოლოგიური გაგება, სოციალური ანობის ცნება, დანაშაულის სინონიმური ცნებები, სოციალური დეზორგანიზაცია, დევიანტობა, დელიქვენტობა, დანაშაულის სოციალური კვალიფიკაცია, დამნაშავეთა სამყარო და მათი ტიპოლოგია.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** სამართლის ფილოსოფია.

**კურსის კოდი: SLB0011**

**ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ადამიანის საყოველთაო უფლებების არსი; ადამიანის დაცვის საერთაშორისო მექანიზმები; ადამიანის უფლებათა რეგიონალური ინსტრუმენტები და მექანიზმები; ადამიანის უფლებათა თანამედროვე კონცეფცია; ადამიანის უფლებები და არასამთავრობო ორგანიზაციები; ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საერთაშორისო -სამართლებრივი წყაროები (კონვენციები და მათში განხილული ცალკეული ინსტიტუტები).

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; საერთაშორისო საჯარო სამართალი.

**კურსის კოდი: SWB0241**

**პოლიტოლოგია (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების საგანი, კატეგორიები, მეთოდები და ფუნქციები; პოლიტიკა, როგორც სოციალური ფენომენი; თანამედროვე ქართული პოლიტიკური აზრის განვითარების თავისებურებები და ძირითადი მიმართულებები; პოლიტიკური ხელისუფლების თეორია; პოლიტიკური კონფლიქტები და კრიზისები; პოლიტიკური ლიდერი და ელიტების თეორია, მათი ტიპოლოგია; სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი. სამოქალაქო საზოგადოება, არჩევნების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:**

**კურსის კოდი: SLB0361**

**საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების ცნება; კომბატანტი და არაკომბატანტი; ნეიტრალიტეტი ომის დროს; დაჭრილები, ავადმყოფები და კატასტროფაში მოყოლილი პირები; სამხედრო ტყვეთა სამართლებრივი რეჟიმი; სამოქალაქო პირთა დაცვა; ომის წარმოების მეთოდები და საშუალებები; ომის წარმოების აკრძალული იარაღი და მეთოდები; სამოქალაქო ობიექტების დაცვა; საომარ ოპერაციათა წარმოებაზე დაწესებული შეზღუდვები; სამოქალაქო ომი (მიდა არეულობები და დაძაბულობები).

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** საერთაშორისო საჯარო სამართალი; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი.

**კურსის კოდი: SLB0211**

**ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა სამართალი ( 5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:**ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაცია; გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი; ლტოლვილის დეფინიცია; 1951 წლის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, უნივერსალური სახის სხვა ინსტრუმენტები; ლტოლვილები და ადამიანთა უფლებები; საერთაშორისო სამართლებრივი დებულებები ადგილნაცვალ პირთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებათა შესახებ (თანასწორუფლებიანობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა; სიცოცხლე და პიროვნული უსაფრთხოება; პიროვნული თავისუფლება; საარსებო მოთხოვნები; საკუთრებასთან დაკავშირებული მოთხოვნები; გადაადგილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები).

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი;

**კურსის კოდი:SLB0161**

**კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა**

**კურსი ეფუძნება მხოლოდ პრაქტიკულ კომპონენტებს . კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** შესავალი სამოქალაქო სამართალში;

სანივთო სამართალი; ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი; ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი; საავტორო სამართალი; სამრეწველო საკუთრების სამართალი; საკორპორაციო სამართალი; საოჯახო-სამემკვიდრეო სამართალი; ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; ადმინისტრაციული სამართლის პროცესი; ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებული ნაწილი; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი; სისხლის სამართლის პროცესი; დანაშაულის კვალიფიკაცია; დანაშაულის გახსნის მეთოდიკა, კრიმინალისტიკა.

**კურსის კოდი:SEB0741**

**სამართლებრივი სტატისტიკა**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** სამართლებრივი სტატისტიკის შესწავლის ობიექტი , საგანი და მეთოდი; დაკვირვების ხერხის გამოყენება სამართლებრივ სტატისტიკაში; ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხები; თავმოყრა- დაჯგუფების სახეები და მეთოდები; დაჯგუფების ნიშნები და სამართალდარღვევათა კლასიფიკაცია; სტატისტიკური ცხრილების შედგენა და გრაფიკების გამოყენება; აბსოლუტური და შეფარდებითი სიდიდეები; ხარისხობრივი და სტრუქტურული საშუალოები; მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესწავლის სტატისტიკური ხერხები; სამართალდარღვევათა დინამიკური ანალიზი და პროგნოზირების საკითხები.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი.

**კურსის კოდი: HLB00060**

**აკადემიური წერა (2 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ესეს სტრუქტურა და ტიპები; არგუმენტი და მისი იზანი; აზრის სახეები; შავი წერის შექმნა; რედაქტირება; კორექტურა; ტექსტის მომზადება საჯარო გამოსვლისთვის; სამეცნიერო ტექსტის აგების ძირითადი პრინციპები; მონოგრაფიის სტრუქტურა; რეფერატი; თეზისები; ანოტაცია; რეზიუმე; საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი მოთხოვნები; ფუნქციური წერის ელემენტები (საქმიანი მიმოწერა, CV )

**კურსის კოდი:SLB0550**

**სისხლის სამართლის კერძო ნაწილის გაღრმავება (10 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ; დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ; დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ; დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ; დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ; კომპიუტერული დანაშაული; დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ; სამოხელეო დანაშაული; დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ; დანაშაული კაცობრიობის, მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** სისხლის სამართლის კერძო ნაწილი.

**კურსის კოდი: SLB0570**

**სისხლის სამართლის პროცესის გაღრმავება (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** სისხლის სამართლებრივი დევნა და სახეები; მტკიცებულებანი და მტკიცება; რეაბილიტაცია; წინსწარი გამოძიების დამთავრება და საქმის სასამართლოში გაგზავნა; სასამართლო გამოძიება; სასამართლო კამათი; განსასჯელის საბოლოო სიტყვა; საპროცესო შეთანხმების არსი, მნიშვნელობა და გამოყენების საფუძვლები; ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** სისხლის სამართლის პროცესი.

**კურსის კოდი:SLB0521**

**სახელშეკრულებლო სამართლის გაღრმავება (10 კრედიტი)**

**კურსის მოიცავს შემდეგ თემებს:** ხელშეკრულების განმარტების ცნება, ფუნქციები და წესები; ნასყიდობის ხელშეკრულება, ქირავნობის ხელშეკრულება, ლიზინგის ხელშეკრულება, ნარდობის ხელშეკრულება, სააგენტო ხელშეკრულება, ფაქტორინგის ხელშეკრულება, მიბარების ხელშეკრულება, დაზღვევის ხელშეკრულება.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი.

**კურსის კოდი:SLB0040**

**ადმინისტრაციული პროცესის გაღრმავება, (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ადმინისტრაციული კატეგორიის განმხილველი სასამართლო და საერთაშორისო ხელშეკრულება; სახელმწიფო დაწესებულებებს შორის დაცვის განხილვა; გადაწყვეტილების კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გამიჯვნა; ადმინისტრაციული საჩივარი - სარჩელის დასაშვებობის პირობა; დაინტერესებული მხარე ადმინისტრაციულ პროცესში; სააპელაციო და საკასაციო საჩივრის დაშვება ადმინისტრაციულ საქმეზე.

**კურსის შესწავლის წინა პირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** ადმინისტრაციული სამართლის პროცესი.

**უცხო ენა 1 (ინგლისური HEB0390 , გერმანული HFB0870, ფრანგული HFB1130, რუსული HSB0520 ) (3 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ენის ასპექტების წერის, კითხვის, მოსმენის, საუბრის სწავლება: **წერაში** სტუდენტი შეისწავლის წინადადების აგების ნორმებს; აბზაცის ორგანიზაციას; მთავარი, განმავითარებელი და შემაჯამებელი წინადადებების წერას; აბზაცების სახეობებს, საქმიანი ქაღალდების შედგენას. **კითხვაში** სტუდენტი დაეუფლება კითხვის სხვადასხვა მეთოდს კითხვის მიზნების შესაბამისად: დეტალური ინფორმაციის, ზოგადი ინფორმაციის, მთავარი ინფორმაციის (ტექსტის სწრაფი კითხვით) მიღებისათვის. **მოსმენაში** სტუდენტი განივითარებს მოსმენის საბაზო უნარ-ჩვევებს აუდიო-ვიდეო მასალის გამოყენებით. **საუბარში** სტუდენტი შეიძენს მარტივი დიალოგისა და მონოლოგის წარმართვის კომპეტენციას ისეთ თემებზე, როგორებიცაა იდენტობა, პროფესია, ოჯახი, მსოფლიო და თანამედროვე პრობლემები. ზემოთ ხსენებული უნარ-ჩვევების განვითარება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და საშუალებების სასწავლო პროცესში ჩართვას ეფუძნება, რომელთა ურთიერთქმედება სწავლების მაღალეფექტურობასა და ინტენსივობას უზრუნველყოფს.

**უცხო ენა 2 (ინგლისური HEB0530, გერმანული HFB0890, ფრანგული HFB1140, რუსული HSB0540 ) (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** კურსი ითვალისწინებს ენის ოთხივე ასპექტის უფრო მაღალ დონეზე დაუფლებას: **წერაში** სტუდენტი შეისწავლის ესსეს წერის პრინციპებს, შესავალი, ძირითადი და დასკვნითი აბზაცების სპეციფიკას, ესსეს ტიპებს და საქმიანი მიმოწერის წარმოებას. **კითხვაში** სტუდენტი დაეუფლება მაღალი დონის ადაპტირებული და ორიგინალი ტექსტის კითხვის პრინციპებს. **მოსმენაში** სტუდენტი განივითარებს მშობლიურ ენაზე მოსაუბრის მეტყველების გაგების უნარ-ჩვევებს. **საუბარში** სტუდენტი შეიძენს დიალოგის და მონოლოგის წარმართვის კომპეტენციას ისეთ თემებზე, როგორებიცაა დანაშაული და სასჯელი, ეკონომიკა, მედიცინა, ეკოლოგიური პრობლემები, მსოფლიო უსაფრთხოება. ამავე დონეზე ხდება სპეციალური (დარგობრივი) ტერმინოლოგიის შესწავლა და დარგობრივი ტექსტების დამუშავება.

**კურსის შესწავლის წინაპირობა** კურსი უცხო ენა I(ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული)

**უცხო ენა 3 (ინგლისური HEB0540, გერმანული HFB1050, ფრანგული HFB1150, რუსული HSB0590) (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** კურსი ითვალისწინებს ენის ოთხივე ასპექტის კომპლექსურ სწავლებას. სწავლების ამ დონეზე ხდება წერის, კითხვის, მოსმენის, საუბრის უკვე არსებული უნარ-ჩვევების ინტეგრირება და მათი დახვეწა. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სპეციალური ტერმინოლოგიის შესწავლასა და დარგობრივი ტექსტის დამუშავებაზე. ამავე ეტაპზე ხდება პრესის ენის შესწავლა და დარგობრივი სამეცნიერო სტატიების დამუშავება.

**კურსის შესწავლის წინაპირობა** კურსი უცხო ენა 2 (ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული)

**უცხო ენა 4 (ინგლისური HEB0550, ფრანგული HFB1160, გერმანული HFB0920, რუსული HSB0600) (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** კურსი ითვალისწინებს უცხო ენის მიზნობრივ სწავლებას, უცხოენოვან კოლეგებთან საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებასა და დარგობრივ ტექსტზე მუშაობას. ამავე ეტაპზე ხდება უცხოური პრესის მიმოხილვა, პრესის ენის შესწავლა და დარგობრივი სამეცნიერო სტატიების დამუშავება. დარგისთვის დამახასიათებელი ბეჭდური თუ ონლინ მასალების მოგროვება-შესწავლა. აქტენტი კეთდება უცხოენოვანი სტატიის წერის პრინციპებზე.

**კურსის შესწავლის წინაპირობა** კურსი უცხო ენა 3 (ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული)

## 8. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.